



№ 53  
(11 510)

10 - 12 ივლისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გაგორის 1934 წლის 13 აპრილიდან



„ლინეილი“  
- „გორკალო“  
11 ივლისს  
გაზეთის  
საქართველოში  
საქართველოში

### ერთად დასრულა, მეორე ხელს იწყებს „გორკალო“ ჩემპიონთა ლიგის საფაზისი

დაასრულა ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობისთვის მზადება საქართველოს ორგანიზაციის ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“. გუნდი თბილისში იყო

და ლიგაში პირველი საკვალიფიკაციო მატჩის ჩასატარებლად ჩართული რეისით დღეს დილას გაფრინდა ბელფასტს. საწვრთნელ შვეიცარი

ბაზე „ტორპედომ“ შვიდი საკონტროლო მატჩი გამართა, პარალელურად **იხ. მე-4 გვ.**

## ნომრიდან ნომრამდე

ჩვენი სპორტული ფედერაციებიდან ზოგიერთი აქტიურად თანამშრომლობს თავიანთ საერთაშორისო სტრუქტურებთან. სამაგალითოდ ჯერჯერობით მაინც ფეხბურთის და მძლეოსნობის ფედერაციები რჩებიან. აქტიურად თანამშრომლობენ აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩვენი ქადაგისა და ჩოგბურთის ფედერაციები. იგივე ითქმის ფარეინგის ფედერაციაზე, რომელმაც მეტად საჭირო საფარეინგო ინვენტარი მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

გასულ შაბათს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტის მონაწილე გახდით - თბილისში ჩატარდა საქართველოს 2001 წლის ლია პირველობა კროსში რბენის მოყვარულთათვის, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია. ასპარეზობა გაიმართა იმოდროზე და მასში სხვადასხვა ასაკის ადამიანები მონაწილეობდნენ. ამ ღონისძიების უმთავრესი შედეგი იყო „რბენა ჯანმრთელობისთვის“, თუმცა, გამარჯვებულებს და პრიზიორებს უამრავი პრიზი და სამახსოვრო




საჩუქარი ელოდა ჯილდოდ, რომელიც მათ ცნობილმა სპორტსმენებმა, სპორტის ხელმძღვანელებმა და ქალაქის საქრებულოს თავმჯდომარემ ლადო კახაძემ გადასცეს.



1973 წლის ზაფხულის შემდეგ, საქართველოში ჩვენს ფეხბურთელებს არანაირი ჯილდო არ ჩამოუტანიათ (გაიხსენეთ „კარაველი“) ესპანეთიდან. ახლა „პაპების“ წარმატება თანატოლებთან ესპანეთში გამართულ შეჯიბრებაში ამ ბიჭუნებმა გაიმეორეს და შინ „კატალონიის თასით“ დაბრუნდნენ.

სურათზე: პირველი რიგი (მარცხნიდან): კობა ალავერდიაშვილი, გიორგი ხარბიანი, ლაშა ლონდაძე, ბექა ცქიტიშვილი, ერეკლე კილაძე, ნიკა ჯიშკარიანი, ვიტალი კერესელიძე; დგანან: გიგი ტარყაშვილი, ვასო საბაშვილი, მირიან ჯიქია, დავით კობიაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ლაშა ზაფხულიანი, ირაკლი შენგელია, ირაკლი ღამბაშიძე; მწვრთნელი თამაზ სამხარაძე.



ზინედინ ზიდანი -  
**64,45**  
მილიონი

თუ წყალში ვხვდებით  
ღვინაღვინა ნიჭიერ თაოგას  
შინ დაოხგაგაგის პიროგაგას  
ვერ ვეხვამებით, უხსოვლები  
უკვე ჩასაფრებულები არიან.

გერმანია გუგავა: საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშები სტინგული მისცა არა მხოლოდ გავრცედა სპორტს, არამედ მთლიანად ქართულ სპორტს, რისთვისაც გულწრფელად მადლობას იხსენებენ ორგანიზატორები.

უიგლდონის  
გამარჯვებულები



## ყველა ჯილდოზე კვირფანი - მსოფლიო ჩემპიონატის საგზავრი

ბათუმში (ჩვენი სპეც. კორ.) ცხრიდან 7,5 ქულა - 6 მოგება და 3 ყიმი: ასეთი ბრწყინვალე შედეგით დაამთავრა შვეიცარიისპირეთის ქვეყნების ჩემპიონატი 32 წლის ქუთაისელმა დიდოსტატმა ზვიად სუბატაშვილმა. მან უკვე მეორედ შესრულა დიდოსტატის ნორმა, მკვეთრად გაიუმჯობესა რეიტინგი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ზვიადი დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთ საგზავრს, რომელიც ფიდეის პრეზიდენტმა კირსან ილიუმეინოვმა პირველ ადგილზე გამოსულისთვის განაყოფინა. ვულოცავთ ზვიად სუბატაშვილს ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ მიღწევებს მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც იგი პირველად გამოვა.

თამაზ გელაშვილმა და ბელარუსის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოკადრად აღეჭყეი აღეჭყანდროვმა. დამატებითი მონაცემებით, მეორე ადგილი ეგიაზარიანს ერგო, რომელმაც დებულუბის თანახმად საჩვენებელი მატჩის უფლება მიიღო ზურაბ აზმაიფარაშვილთან, მესამეზე კი გელაშვილი გავიდა. შეჯიბრებაში რამდენიმე ცნობილი დიდოსტატი ქალი მონაწილეობდა. მათთვის, ვინც მათ შორის საუკეთესო ადგილს დაიკავებდა, დაწესებული იყო სპეციალური ჯილდო. 6-6 ქულა მოაგროვეს ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ნატალია ქუცოვამ (უკრაინა) და ნინო გურიელმა. უკეთესი დამატებითი მონაცემები უკრაინელს აღმოაჩნდა. შვეიცარიისპირეთის ქვეყნების ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მოეწყო მეხუთე აბაშიძის ტრადიციული მეგობრული სწრაფ ქადრაკში 6 ქვეყნის დიდოსტატებისა და ოსტატების

## გაზეთის დაგეგმვის წინ:

● მოსკოვში მიმდინარეობს სოკოვის აღმასკომის სხდომა, რომელიც წინ უსწრებს 12 ივლისისთვის დაგეგმილ სოკოვის 112-ე სესიას. მთავარი თემა იქნება ახალი პრეზიდენტის არჩევა და სამარანთან გამოთხოვება. დაგეგმეთ, რომ სამარანი 1980 წელს, სწორედ მოსკოვში აირჩიეს სოკოვის პრეზიდენტად.

● გუშინ ესპანეთის „ოვიედოს“ საფეხბურთო გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 40 წლის ენრიკე მარინილა, რომელიც ბოლო 2 წელიწადი ამავე კლუბში სერბი რადომის, ანტიჩის თანაშემწე იყო. ანტიჩი გადადგა.

● ნოვოროსიისკის საფეხბურთო კლუბ „ჩერნომორეცს“ ახალი წევრი ჰყავს - ბადრი სპანდერაშვილი. კონტრაქტს გუშინ მოუწერა ხელი.

7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება სომეხმა დიდოსტატმა არსენ ეგიაზარიანმა, საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა, რუსთაველმა

მონაწილეობით. იგი ჩვენი უძლიერესი მოკადრის, ზურაბ აზმაიფარაშვილის გამარჯვებით დაამთავრა, ხოლო ქალთა შორის კვლავ ნატალია ქუცოვამ გამოიჩინა თავი, რომელმაც განაცხადა, რომ მრავალ ქვეყანაში კი უხდება თამაში, მაგრამ ყველაზე უკეთესი შედეგები მაინც ბათუმში აქვს.

გავთა ფინალი: რაფტერი - ივანიშვილი 3:6, 6:3; 3:6, 6:2, 7:9



მოქალაქე მონაწილე 3 წლიანი და 1 თვე ღარი



ზაპირის XIX ოლიმპიკ თამაშებს 217 დღე გვაქვს

საქართველოში წყალში მბრძოლეთა ისეთი თაობა მოდის, თამაშდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიციებს დაევიწყებოდნენ, კვლავ უთუოდ გავიქრებით ოლიმპიურ სარბიელზე, ოღონდ...

ჩვენი პაპარაგი უკვე დიდი სპორტის კარზე აკაკუნებენ...

საქართველოში წყალში მბრძოლეთა ისეთი თაობა მოდის, თამაშდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიციებს დაევიწყებოდნენ, კვლავ უთუოდ გავიქრებით ოლიმპიურ სარბიელზე, ოღონდ...

ეს პატარები, რომლებიც უცხოელ სპეციალისტებს აოცებენ თავიანთი სიჩაქით და სულ რამდენიმე წელიწადში ჩამოყალიბებული ოსტატები ხდებიან, საზღვარგარეთის კლუბებში შეიძლება აღმოჩნდნენ.

„ჩვერჩეობით ეს პრობლემა არ დგას, მაგრამ თურქებს და ბერძენებს, ევროპის სხვა ქვეყნების სპეციალისტებს, ჩინური აქვთ ჩვენი ბავშვების გვარები და ნებისმიერ ხელსაყრელ დროს შეეცდებიან ერთმანეთს ქართული გენის გადაბირებაში. ასეთ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდებით და ეს იქნება არა მხოლოდ მარტო ჩვენი, როგორც მწვრთნელების ტრაგედია“ — ამბობს ნაკრების მწვრთნელი ირაკლი ბართია, რომელიც მამასთან, ალექსანდრე ბართიასთან ერთად ქართულ სპორტს წყალში ხტომას, პირადი ენთუზიაზმით, ფედერაციისა და „ლაგუნა-ვერს“ ხელშეწყობით უნარჩუნებს.

ჩვენი მოზარდი სპორტსმენების ნიჭის ახალი გველები არენად იქცა ამ დღეებში ავსტრიის ქალაქ გრაცში გამართული „A“ კატეგორიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ამჯერად მეექვსედ ჩატარდა 13 წლამდე და 14-15 წლიანებს შორის. ჩვენი ნაკრები ხუთი წყალხტომლით (ოთხი ქაბუკი, ერთი გოგონა) გაემგზავრა ტურნირზე. ფაქტობრივად, იმდენი მონაწილით, რამდენის დაფინანსებაც მოხერხდა. თუ როგორ, ამაზე ქვემოთ.

ჩვერ იმ პერიოდებზე ვიტყვით, რაც ჩვენებს გრაცში გადახდათ. მამაშვილ ბართიასთვის შევირდებს ჩინებულად იცნობენ ევროპაში. სწორად არც კი სჯერათ, როცა გაზაფხულზე, ზამთარში უწყოლოდ. მხოლოდ დარბაზში ნაკრებივე ბავშვები, ჩინებულად ასპარეზობენ და ტოლს არავის უდებენ, ზაფხულში კი სტარტზე მხოლოდ მაისის ბოლოდან წყალზე ვარჯიშდაწყებულიები გადიან. აი, ასეთ პირობებში მომზადებული ბავშვები, ზემოხსენებულ ტურნირშიც ფავორიტად მოგვევლინენ. ნამდვილად სირცხვილი იქნებოდა მასპინძლების, რომლებმაც შეჯიბრებაში 22 მონაწილე ჩააბეს და მათთან შეხატბილებულ გერმანელებს 18 მონაწილით, საერთო გუნდური პირველობა ქართველებთან წყვილი. მთავარი მსაჯიც გერმანელი იყო და როგორც კი შენიშნა, რომ ჩვენი უპირველესად, ავსტრიელთა და გერმანელთა შევიწროების შანსი გაგვიჩნდა, სამსაჯოდ მეტწილად თავისიანები დასვა, ჩვენი მსაჯი კი „დასვენა“.

„ერთხელაც ისეთი სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდა გერმანელი მსაჯი, რომ აშკარა არაობიქტურობით თავი შეიკრებინა, პროფესიული თავმოყვარეობა შეილახა, უპირველესად თავისივე კორტეჟების წინაშე, როცა ჩვენი სპორტსმენის ნახტომს ისეთი დამალი შეფასება მისცა, სხვა მსაჯებს სიცილი აუტყდათ. ისიც უმაღლეს წამოდა, ჩვენსკენ გამოიხედა და ბოლიში მოგვიხადა, მაგრამ საქმე



მარცხნიდან: ვიტალი მამნიაშვილი, სალომე ჯუღელი, ჯოლა ჭანტურია, კონსტანტინე ნანიტაშვილი და დავით ყვავაძე

უკვე გავიფრქვა, მედალი დაგვაკარგვინა“ — ამბობს ირაკლი ბართია.

თუ ვიტყვით, რომ ტურნირში 13 ქვეყნის 105 წყალხტომელი გამოდიოდა, საქართველოს წარგზავნილთა ის შედეგებიც კი, რაც განწირულებმა მოიპოვეს, ძალზე შთამბეჭდავი — მესამე გუნდური ადგილი თანაც მელდების რაოდენობით მხოლოდ გერმანელებმა გადაგვისწრეს გუნდური პირველობაც მათ ხვდათ, მეორე ადგილზე გასულ ავსტრიელებს მელდებით ვაჭობთ, მაგრამ მონაწილეთა მეტი რიცხოვნობით გადაგვისწრეს საერთო ჩათვლაში. ბარემ ისიც ვთქვათ, გერმანია ტურნირზე ქვეყნის სამი სპორტული სკოლის აღსაზრდელებით იყო წარმოდგენილი. კიდევ ერთი შედეგია: გერმანიაში 6 ათასი მოზარდი მეცადინეობს წყალხტომში, ჩვენთან — 30 (!), ისიც მხოლოდ თბილისში, მეტწილად დარბაზში, ბატუტზე, სამი-ოთხი თვე ღია წყალზე. და აი, ასეთი პარალელების ფონზე პირადი პირველობის ჯამურ ათეულში მხოლოდ 7 გერმანელი და 3 ქართველი ხვდება. 13 წლამდე ბიჭებში C ჯგუფში დავით ყვავაძე 5-მეტრიან კოშკიდან ხტომაში მეორე პრიზორი გახდა 35 კონკურენტს შორის, ჯოლა ჭანტურია მეხუთე იყო, კოტე ნანიტაშვილი — მეხუთე. 3-მეტრიან ტრამპლინიდან ასპარეზობაში კი ყვავაძე — მეოთხე, ჭანტურია — მეშვიდე, ნანიტაშვილი — მეცხრე. ირაკლი ბართია, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ჭანტურიას გარდა ყველას გამოსვლით კმაყოფილია. ცხადია, მწვრთნელი, ალბათ, ზემოხსენებულ არაობიქტურ მსაჯობასაც ითვისისწინებს. ამავე ჯგუფში გოგონათა პირველობაში გამოვიდა 10 წლის სალომე ჯუღელი, რომელიც ერთადერთი უმცროსი მონაწილე იყო 13 წლიანებში. სალომე ხუთმეტრიან კოშკიდან მეხუთე იყო, სამმეტრიან ტრამპლინიდან — მეხუთე.



გვარცხლებელს მე-2 საფეხურზე დავით ყვავაძე

მნიშვნელომ ნასესები ფულით შეძლო მონაწილეობა. პატარა სალომე ჯუღელი ამჯერად გოგი თოფაძემ დააფინანსა, ნანიტაშვილისთვის კი ფული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეგროვდა კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა, ჯოლა საერებულოს თავმჯდომარის ცილა სვანიძის ინიციატივით დაწარმოდა თანაშემოსულებმა გადაიხადეს. მადლობას იმსახურებს თბილისის მულ-კამეოლის ფაბრიკა (დირექტორი ომარ თეთრაშვილი), რომელმაც სპორტული ფორმით შემოსა ნაკრები.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ბართია ავსტრიიდან ვიტალი მამნიაშვილთან ერთად მალტაში გაემგზავრა იუნორთა ევროპის პირველობაზე. ასპარეზობა ახლა მიმდინარეობს.

თ. თოფაძე

თაობა საფეხოზე გაემოდის

მიმოვიხილავთ საქართველოს პირველი სპორტული თამაშების შედეგებს მთავარ მსაჯ ბარტია გუგავასთან ერთად

საბჭოთა სპორტული მოძრაობის „მიმე“ ინდუსტრიაში, ბავშვთა სპორტს უშუბრველად აფინანსებდა სახელმწიფო განათლების სისტემის, სპორტული ორგანიზაციების თუ ცალკეული უწყებების მეშვეობით, ლობის წილი ამ სფეროში შექმნიდა პროფკავშირებს. ერთიან სისტემაში გამოკვეთილი იყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები, რომელიც ეტაპობრივად, აღმასვლით, თითქმის ყველა რკალს მოიცავდა.



ბერტია გუგავა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს სისტემა ბევრგან შეინარჩუნეს, უკვე საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დონეზე. ჩვენთან კი უკუაღდეს, როგორც „კომუნისტური გადმონაშთი“, რამაც აღწაფა რეაბილიტაციის მიზანმიმართული — უბირველესად თაობათა მემკვიდრეობითობა მოიშალა. მინიმუმ 10 წელიწადი დაეკვირდა, რომ კვლავ მივბრუნებოდით ქართული სპორტის ფესვებს და ადრინდელი მოსწავლეთა სპარტაკიადების ნაცვლად, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ თამაშებს. ეს კომპლექსური ღონისძიება იმავე სისტემით ჩატარდა, როგორც ადრე იყო დამკვიდრებული — შიდა სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), სამხარეო ეტაპები გაიარა. ქვეყნის მასშტაბით რჩეულთა მონაწილეობით გამართული ბირველი თამაშები კი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა.

ეს კომპლექსური სპორტული ღონისძიება ერთობლივი ძალებით ჩატარდეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და განათლების სამინისტრომ. ასპარეზობის მთავარი მსაჯი იყო პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ თავმჯდომარე ბერტია გუგავა, რომელიც რედაქციაში მოვიწვიეთ და ბირველი თამაშების შედეგების გაანალიზება ვთხოვეთ.



● ბატონო ბერტია, პირველ ყოვლისა, როგორც ამ სასიხარულო მოვლენასთან ყველაზე ახლოს მდგომს, გვინდა გვითხროთ, საერთო ჯამში რა შთაბეჭდილება დატოვა თამაშებმა?

— არც ერთის მესხიერებიდან, ვინც თამაშების პერიოდების მოწმე გახდა, ცხადია მონაწილეთა ჩათვლით, არასდროს წაიშლება ის ხალისი და აჟიოტაჟი, რაც თამაშების პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებებმა გამოიწვია. ყველა ასპარეზობა ზეიმად იქცა, მთლიანობაში კი საერთო დღესასწაულად, რომელსაც ასე დანატრებული იყო ყველა. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ თამაშებმა სტიმული მისცა არა მხოლოდ ბავშვთა სპორტს, არამედ საერთოდ, ქართულ სპორტს, რისთვისაც გულწრფელ მადლობას იმსახურებენ ორგანიზატორები. თამაშებმა დაგვანახა, თუ რა ვითარებაა ბავშვთა სპორტში საქართველოს რეგიონებში, რის შესაძლებლობასაც მთელი ათი წელიწადი ვიყავით მოკლებული. ეს იყო უაღრესად დროული ღონისძიება, მეტის დახანება ნამდვილად აღარ შეიძლებოდა.

● გვთანხმებით, ფაქტობრივად, წამოვიდა თაობა, რომელსაც ასეთი კომპლექსური ასპარეზობაში მონაწილეობა არასდროს მიუღია. ახლა სპორტული რეზერვის დათვალეობა შედგა ამ კუთხით როგორ შეფასებით შედეგებს?

— არ დავიბალავთ, რომ ბევრი ვერც კი წარმოიდგინდა, თუ ასეთი ნიჭიერი ცვლა გვეზრდება, მით უმეტეს, ურთულეს პირობებში. ის, რომ ქაბუკთა ევროპის ორი რეკორდი გაუფრთხესდა, მხედველობაში მაქვს შედეგი, თორემ რეკორდი საერთაშორისო სარბიელზე ფიქსირდება ოფიციალურად, ბევრის მთქმელია უდავოდ.

● ვინ არიან ეს ქაბუკები და რა სახეობაში?

— ერთი მძლეოსანია ზურაბ გიგია, რომელმაც ბირთვის კვარაში 18,22 მ დაძლია, მეორეა ძალოსანი — თემურ ჩხაიძე, რომელმაც რეკორდი ატაცში გააუმჯობესა. ორივე სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენელია, რაც ერთხელ კიდევ აღასტურებს, რომ ქვეყნის რეგიონებში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი იზრდება. ორივე რეკორდი, რა თქმა უნდა, საქართველოს ქაბუკთა ახალი მიღწევაცაა.

● როგორ ფიქრობთ, ქართული სპორტის რეზერვის დათვალეობა სრულად მოხერხდა თუ არა?

— თუ ვიტყვით, რომ ზოგიერთმა რეგიონმა მხოლოდ სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოიყვანა მონაწილე, რა თქმა უნდა, არა.

● ვის გულისხმობთ ასეთ რეგიონებში?

— მაგალითად, მესხეთ-გავაზეთმა რამდენიმე მძლეოსნის გარდა, მონაწილე არ მოავლინა. თუმცა, რა მივლინებაზეა ლაპარაკი, ის ბავშვებიც საკუთარი ფულით ეწვივნენ შეჯიბრებას. სამგზავრო ხარჯებს გვულისხმობთ. სრულად არც აჭარის სპორტსმენთა შესაძლებლობების დათვალეობა მოხერხდა, რამაც ასახვა პირველადი გუნდური ჩათვლაში — მეოთხე ადგილი ნამდვილად შეუფერებელია სპორტული ტრადიციებით მდიდარ და არცთუ გაჭირვებული ავტონომიური რესპუბლიკისთვის. სპორტის 26 სახეობიდან აჭარამ მხოლოდ 13-ში მიიღო მონაწილეობა.

● რაი სიტუაცია მოიტანა, ბარემ აქვე ვთქვათ, როგორ განაწილდა გუნდური რეკორდი საერთაშორისო სარბიელზე ფიქსირდება ოფიციალურად, ბევრის მთქმელია უდავოდ.

ნელური ადგილები და ვინ რამდენ სპორტის სახეობაში ასპარეზა.

— საბოლოო კომპლექსური ჩათვლაში გუნდური შედეგები ასე გამოიყურება: 1. თბილისი (მონაწილეობდა ყველა 26 სახეობაში), 2. იმერეთი (25), 3. სამეგრელო — ზემო სვანეთი (15), 4. აჭარა (13), 5. მცხეთა — მთიანეთი (17), 6. შიდა ქართლი (12), 7. ქვემო ქართლი (16), 8. აფხაზეთი (15), 9. კახეთი (14), 10. გურია (9), 11. რაქა-ლეჩხუმი — ქვემო სვანეთი (7), 12. სამცხე-ჯავახეთი (1). სტარტზე სულ 1649 სპორტსმენი გამოვიდა, აქედან 1204 ქაბუკი იყო, 445 — გოგონა. აქვე გეტყვით, რომ შეჯიბრებებს გარდა თბილისისა, თუშაბისა, ოზურგეთისა, გურჯაანისა, თელავისა, ქიანურისა. ისევე გავიხივებ, ვერ წარმოიდგენთ რა აჟიოტაჟი იყო ყველგან. არა მხოლოდ მოზარდ სპორტსმენებს, როგორც ჩანს, ხალხსაც მოინატრა ასეთი შეჯიბრებები.

● მომავალში ალბათ თამაშების

მასპინძლების მსურველთა რიცხვი გაიზარდება.

— ექვციც არ მეპარება, რომ ასე იქნება. დასვენებს ის რეგიონებიც გამოიტანენ, რომლებსაც უკეთ შეეძლოთ ეასპარეზათ. ასე რომ, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყანაში ბავშვთა სპორტის დიდი დღესასწაული გველოდება.

● მაგრამ ამისთვის საჭირო რეგიონები და, საერთოდ, ქვეყანა, ეკონომიურად მოლოინერდეს, რამდენადღაც ვკითხვით, ეს თამაშები, ასე ვთქვათ, ავანსად ჩატარდა.

— გეთანხმებით, ჭრავს გადასახდელია სასტუმროს და მსაჯების ფული. გარკვეული შემეშობა გაგვიწია ფირმა „ნესკეიკა“.

● უარყოფითი რა დაგვანახა თამაშებმა?

— ის, რომ ადგილებზე ნაკლები ყურადღება ეთმობა შეჯიბრებებს. ბავშვებს აშკარად ეტყობათ საშეჯიბრო გამოუცდელიობა, მეტი კონტროლი

საჭირო, რომ პირველი და შემდგომი ეტაპების შეჯიბრებები ყველგან ჩატარდეს. შეჯიბრებებზე შემთხვევით არ გამოიხვილებია ყურადღება. მწვრთნელები მუშაობენ, რაც თამაშებმაც დაადასტურა, შეჯიბრებები კი არ ტარდება. როცა თამაშების საბოლოო შედეგები შეჯამდება, ვეჭვობ, ბევრი პრობლემის სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტის აუცილებლობაზეც იქნება მსჯელობა. ყველა დავრწმუნდით, რომ სახელმწიფოში ბავშვთა სპორტი პრიორიტეტული უნდა იყოს.

● თამაშების დღეებში რამე ექსცესი ხომ არ მომხდარა?

— არანაირი, ზემო არაფრით არ დამრიღლულა.

● არც საზიარო შემოსულა მთავარ მსაჯთა კოლეგიაში?

— არც ერთი. იყო უმნიშვნელო გაუგებრობები. მაგრამ საქმე ოფიციალურ პროტესტამდე არ მისულა...

ესაუბრა

ბ. ბამბაძე




### საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



### მზია ჯულელიდან - უსასრულო გზა

მელსინკვი გამგზავრების დღე დადგა. ამალღებული განწყობა სუფევდა საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში. უკვე შეჩვეულ შეკრების ბანაკს ყველა ერთგვარი სინანულითაც კი გამოემშვიდობა. მაგრამ გაცილებით მეტი სითბო და ხმაურიანი შეხვედრები დელეგაციას წინ ელოდა. სადგურზე, სადაც მატარებლის მთელი შემადგენლობა ჩამოვარდა, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი საბჭოთა სპორტსმენების გასაცილებლად. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მატარებელმა გადაკვეთა საბჭოთა საზღვარი, რომლის იქითა მხარეს დელეგაციამ იხილა ის, რასაც ნაკლებად მოელოდნენ - ფინელები პიონერების ნიღბი ყვლსახვევებით ესალმებოდნენ საბჭოეთის სპორტსმენებს, ახალგაზრდობა ჭარბობდა ზღვა და მხდურებში. ყვეაილების თაიგულებს ილო არ უჩანდა, ბაქანიდან საჩუქრებსაც აჩეჩებდნენ ხელში ვაგონის საბჭოელიდან გადმომდგარ ოლიმპიელებს. დაბლა არავინ ჩასულა. ბრძანება იყო ასეთი.

მელსინკვის სადგურის ბაქანზეც



უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დელეგაცია ცოცხალი დერეფნის გავლით ოვაციებით გააცილეს ავტობუსებამდე.

ოლიმპიური სოფელი ულამაზეს „დავარცხნილ“ ფიჭვნარ ტყეში იყო გაშენებული. ოტენიეში ყველას მიუჩინეს თავისი ადგილი - როგორც წესი, ცალკე - ქალებს, ცალკე - ვაჟებს.

**მზია ჯულელი:** „კოტეჯის მსგავს ლამაზ სახლებში შეგვასახლეს. ტანმოვარჯიშე ქალები - ერთად, ერთ სახლში. ყველას ერთ დიდ ოთახში გვეკონდა საძინებელი. სავარჯიშოდ მოშორებით დავდოდით ჩვეულებრივ სპორტულ დარბაზში - ხელინკში. გასაოცარი ის იყო, რომ დარბაზის კარი მუდამ ღია იყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო თავაღყური ედევნებინა ჩვენი წვრთნისთვის. არადა, როგორც მერე შევითქვით, ყველას ეგონა დასურულ კარს მიღმა ვივარჯიშებდით, რათა ჩვენი ოსტატობის „საიდუმლოება“ არავის გაეშიფრა. „ღია კარის“ ამბავი მალე გახდა ცნობილი ყველასთვის და ფაქტობრივად ფოტორეპორტიორების, ჟურნალისტების, სხვა ქვეყნის ნაკრები გუნდების სპეციალისტების, გულშემოტიკივრების თვალწინ გვავარჯიშებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მოდიოდნენ მსაჯებიც კი.

იყო თუ არა გათვლილი, რა შეიძლებოდა მოეთანა ასეთ „გახსნას“ ვფიქრობ, რომ იყო და ძალიან კარგადაც. ჯერ ერთი - ორ დღეში ვერანაირად ვერ მოახერხებდნენ მეტოქეები ჩვენი ოსტატობის ათვისებას, თუკი რაიმე მოეწონებოდათ, მეორე - ყველამ იცოდა ჩვენი სიძლიერის ამბავი და „ღია კარი“ კიდევ ერთხელ დაიარსუნა კონკურენტი გუნდების მწვრთნელებს, მსაჯებს კი საშუალებას მისცა უკეთ ჩასწვდომოდნენ ჩვენს სპორტსმენებს, მესამე და ჩემი აზრით მთავარი - გარკვეულწილად სწორედ აქ იწყებოდა ადამტაცია საშეჯიბრო ოლიმპიური ატმოსფეროსადმი. მოკლედ, კარგად გათვლილი ის იყო, რომ ასეთ „დათმობაზე“ წასვლა სარგებლობას უფრო მეტს მოიტანდა, ვიდრე ზიანს“.

ასე გრძელდებოდა ვიდრე უშუალოდ ოლიმპიური ასპარეზობა დაიწყებოდა. სავალდებულო პროგრამა რამდენიმე წლით ადრე იყო დარიგებული და ერთიანი იყო ყველასთვის. ნებისმიერ პროგრამაში კი მთავარი იყო შემოქმედება, თანაც უფრო რთული ილეთებს წარმოადგენდა. შეჯიბრება იწყებოდა სავალდებულოთი - ჯერ ბეჯინით ხტომები, შემდეგ ნაირსიმალილის ორძელი, შემდეგ დვირი და ბოლოს თავისუფალი ვარჯიში.

როგორც შემდეგ გაირკვა. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელობას დიდხანს უმსჯელია თუ პირველი ვინ გავიდოდა სარბიელზე. როგორც მიღებულია, ჩვეულებრივ ყველა გუნდი შედარებით სუსტი ტანმოვარჯიშით იწყებს. აქ კი არჩევანი ერთ-ერთ ლიდერზე - მზია ჯულელზე შეჩერდა. ეს კარგად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა იყო. მეტოქეებს და, ცხადია, მსაჯებსაც თავიდანვე უნდა შექმნილიყო წარმოდგენა, რომ მართლა ძლიერ ნაკრებთან ექნებოდათ საქმე. „თუ ასეთი ოსტატობით იწყებენ, დანარჩენი ხომ უფრო ძლიერები იქნებიან“. თანაც მზია გუნდში ყველაზე გამბედავი, ლაღი და ფსიქოლოგიურად შესანიშნავად განწყობილი იყო. შეჯიბრების წინ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ტაინსა დემიდენკომ ხმადასმულად გამოაცხადა: „მზია, შენ იწყებ!“ და დაიწყო!

აკი, ადრე ვთქვით, რომ დადგებოდა დრო, როცა ოლიმპიურ სარბიელზე პირველ ქართველ ქალს მოუხმობდნენ საასპარეზოდ. ახლა სწორედ ეს დრო დადგა. მაგრამ მზია ამ შემთხვევაში არა მხოლოდ პირველი ქართველი ქალი იყო, არამედ პირველი საბჭოთა ქალიც, რომელმაც საბჭოთა კავშირის ქალ ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ისტორიის ათვლა დაიწყო...

**თენგიზ ბაჩიჩილაძე**  
დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51. გაგრძელება იქნება

### ჯეის ფაინსონრილი: თინეჯაჩაგი საქართველოში უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე ამერიკაში

**ამას ამბობს 15 წლის მოტილავა. რომელმაც საქართველოში მწვრთნელ დახით დახითაიასთან სტაჟირებაზე ერთი თვე გაატარა.**

ჯესი ფაინსონრილი ამერიკელია, დაიბადა და ცხოვრობს კოლორადო სპრინგსში, სადაც ამერიკელ ოლიმპიელთა მომზადების ცნობილი ცენტრია.

ჩვენთან, ამერიკაში კოლეჯების სასწავლო პროგრამაში შეტანილია ქილაობის ამერიკული ნაირსახეობა ფოქსაიდი, რომელსაც პირველი კლასიდანვე ასწავლიან. მერე სურვილი გაიჩინა ქილაობის ოლიმპიურ სახეობაში, კერძოდ ბერძნულ-რომაულ ქილაობაში ვარჯიში დამეწყო - ამბობს ჯესი.

საქართველოში კი აი, როგორ მოხვდა: შარშან, ცნობილმა სპეციალისტმა დათო დახითაიამ მიწვევა მიიღო კოლორადო სიტის ოლიმპიური ცენტრიდან, სადაც თბილისის სპორტის მესვეურთა დახმარებით, თავისი შეგირდები გიორგი წურჭუჭია, ბადრი ხასაია და პაატა ბიწაძე წაიყვანა ამერიკელებთან ერთობლივი მომზადების პროგრამით. მერე ბადრი ერთი წლით დაჩა ამ ცენტრში და ჯესი ფაინსონრილსაც ავარჯიშებდა.

**დათო დახითაია:** „ამერიკელებთან ერთობლივი წვრთნის დარბაზში შევინახე ბიჭი, რომელიც ძალიან მონდომებით ვარჯიშობდა. მაგრამ ერთ-ერთ ილეთს არასწორად ასრულებდა. პარალელურად კონსულტაციას ვუწვევდი ამერიკელ მწვრთნელებს და ჯესის მწვრთნელს აუფხსენი შევლოდა. მოხოვა თავად გამესწორებინა ჯესისთვის ეს ილეთი. ის იყო და, ეს ბიჭი, გვერდიდან აღარ გვეშორებოდა“.

ჯესი ფაინსონრილი გასულ შაბათს რედაქციაში გვესტუმრა. თარგმნობას ბადრი გვიწვედა. ჯესის რამდენიმე დიდ შეჯიბრებაში უსაპარეზოა - მესამე ყოფილა ქვეყნის ჯაბუკთა პირველობაში, ბერძნულ-რომაულ ქილაობაში, ასევე მესამე პრიზორი გამ-



ჯესი ფაინსონრილი (მარცხნივ), ბადრი ხასაია და მწვრთნელი დათო დახითაია „ლელოს“ რედაქციაში

ხარა წარსულში მსოფლიო ჩემპიონის დენი ჰაჯის ტურნირში. ჯესი შეძლებული ოჯახის შვილია. ჰყავს ერთი და მამა ძალიან დაინტერესებულია ვაჟისთვის სპორტული მომავლით და მეუღლესთან ერთად გამოისტუმრა თბილისში დათო დახითაისთან ოსტატობის ასამაღლებლად. მასპინძლობას ბადრი ხასაიას ოჯახი უწყვეტ ღელდა-შვილა.

**დათო დახითაია:** „უნივერსიტეტი ბიჭია ჯესი, ძალიან მონდომებულია, სპორტში კი ეს მთავარია. ყოველდღიურად იზრდება. მევიც არ მებარება, რომ იგი მომავალი ოლიმპიელია. მართალია, ჩვენი მძიმე საწვრთნელი პირობებით გაოცებული დარჩა, მაგრამ გაგებით მოვიკადა პრობლემებს“.

ყველაზე უკეთ, ცხადია, ამ ყმაწვილს ბადრი ხასაია იცნობს. „საოცრად თავისუფალი, მეგობრული ბიჭია ჩვენში ბევრი რამ მოსწონს და სურვილი

აქვს ხშირად გვესტუმროს. ქართული სიტყვებიც ისწავლა: მე გამანდო, მიტხრა ცოლად უთუოდ ქართველს მოვიყვან, არასდროს გამშორდება“.

მაინც რა მოსწონს? ამ შეკითხვაზე ჯესი თავად გვაპასუხობს. „ძალიან კარგი სასმელი, ცივი ჩაი“ გაქვთ. შემოიყვარდა კერძი „ოჯახური“, ღელა ჩემს საცივი მოეწონა და რეცეპტიც ჩაიწერა. კიდევ მომწონს ის, რომ აქაური თინეჯერები, უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე ამერიკაში, თქვენთან მოზარდებს არავინ აკონტროლებს. ჩვენთან 21 წლამდე უსაქმოდ ქუჩაში კია არა, ეზოში ვერ ჩახვალ. მაგრამ კარგია ის, რომ ამერიკაში კანონით აკრძალულია 21-წლამდე ასაკის მოზარდზე სივარეტის და ალკოჰოლური სასმელის მიყვლა“.

მწვრთნელზე რას იტყვი? - ვკითხეთ. „თბილისის აეროპორტში რომ ჩამოვდილი, ყველაზე ძალიან გამიხარდა მისტერ დახითი რომ შეგვეხდა. ის ჩემი საყვარელი მასწავლებელი გახდა და ამით მადლიერი ვართ მთელი ოჯახი“.

თ. თოგაშვილი



სტუმრად რომან რურუსთან მცხეთაში

### Coca-Cola -ს იმედოდ დაჩინილი ველოსიპედისტები

სულაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, ჩვენში ისეთი მიუსაფარი და ბედს მინდობილი, როგორც ველოსპორტია, ალბათ არც ერთი სპორტის სხვა სახეობა არ არის. იგი კარგა ხანია უგულებელყოფილია სპორტსაზოგადოებების მიერ, რომელთაც ადრე ძლიერი გუნდები და მრბოლები ჰყავდათ, ველოსიპედისტთა გამოჩენა არც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში იწყევს დიდ გულისხმიერებას, აქაოდა, ძვირადღირებული რამაა იგი და ჩვენი ბიუჯეტი აშკარად ვერ გასწვდება...  
და მაინც, თუ ტრასებზე ველოსიპედისტთა მცირერიცხოვან ჯგუფებს შეხვედებით, იცოდეთ, ისინი ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სპორტსკოლისა და „შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა ველოსპორტის სკოლის აღსაზრდელები არიან, რომელთათვის ყოველი შეჯიბრება, თუნდაც მცირე მასშტაბის, ნამდვილი ზეიმია. მაგრამ მათთვის ასეთი ბედნიერება დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ერთი ასეთი ზეიმი გასულ კვირას წყნეთის გზატკეცილზე გაიმართა „კოკა-კოლას“ შემწეობით, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ, რბენის კვირეულის დამაგვირგვინებელ გარბენას პატრონობდა, ახლაც გამოიღო ხელი და მისი ეგონით გათამაშდა პრიზები, რამაც უმცროსი და მოზრდილი ასაკის მრბოლებთან ერთად, ვეტერანი ველოსიპედის-

ტებიც (6 კაცი) მიიზიდა. სულ კი 40 მრბოლი გამოვიდა სტარტზე. იგი ბაგებში იყო დანიშნული. შეჯიბრებას მოწყურებულთა ენთუზიაზმი იმდენად დიდი იყო, რომ მსაჯები და ვაკე-საბურთალოს რაიონის ავტონისპექციის მუშაკები, დიდი ხალისით ეწეოდნენ ამ „საზოგადოებრივ დატვირთვას“, რომ როგორც უაქსცესებოდ ჩატარებულიყო.

სტარტიდან დაწინაურდა საქართველოს ნაკრების წევრი, 18 წლის ლავოდეხელი რამაზ მანაგაძე (განათლების რაიონული სპორტსკოლა) და კარგა მანძილით ჩამოიტოვა ძირითადი ჯგუფი. მაგრამ მესამე კოლომეტრზე საბურთაო დაეშვა, რითაც ისარგებლა თბილისელ მდევართა 4-5 კაციანმა ჯგუფმა და გაიჭრა წინ, ფინიშამდე ასე იარა, ბოლო მეტრებზე ჯგუფს მოსწყდა ანიკო მახარაშვილი და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი (17,30 წ.), აიკო-კოლას“ მთავარი პრიზიც მას ერგო. სამეულები კი ასე გამოიყურებოდა. უმცროსი ასაკი: 1. ა. მახარაშვილი, 2. გიორგი ნადირაძე, 3. პაჩანა გიორგაძე. მოზრდილები: 1. მიხეილ ზაა-

ლიშვილი, 2. იოსებ მადრაძე, 3. გიორგი მგელაძე; ვეტერანები: 1. კობა აბაიშვილი, 2. გურამ ინაკავაძე, 3. კობა ანტონაშვილი, (ყველა - თბ).

ველოსპორტი რომ „ძვირი სიამოვნება“ ამ შეჯიბრებასაც დაეტყო. სწორედ ველოტექნიკის, განსაკუთრებით კი საბურთაოების სიმწირის გამო, მხოლოდ მონაწილეობა ოთხ ათეულს მოუყარა თავი. ეს რომ არა, მოასპარეზებოდა რიცხვი გაცილებით დიდი იქნებოდა, რაც თუნდაც იქიდან სჩანს, რომ კვირადილით ვაკე-საბურთალოს მაგისტრალსა და მიმდებარე ქუჩებში ველოსიპედზე ამხედრებული არაერთი ახალგაზრდა, თუ ხანში შესული ვიხილეთ, ისე, მუხლის გასაშლელად, რომ აქვთ შეტენილი ველომანქანა. ეს ჩვენში ველოსპორტის პოპულარობაზე მეტყველებს, რაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს.

ზ. შანიბაძე





გაზვითა ფეხბურთი

„კაბალონის თასით“ — თბილისში



რობერტ ბაგოიანის ფოტოები



სხედან (მარცხნიდან): გიორგი ხარბიანი, ირაკლი შენგელია, ირაკლი ღამბაშიძე, ნიკა ჯიშკარიანი, ვიტალი კერესე-ლიძე, ერეკლე კილაძე, ბექა ციტიშვილი, ლევან ლაღიანი, გიორგი ულენტი, ვახტანგ დავლაშვილი; დგანან: ბესო ნადირაძე, გიორგი ქობულაშვილი, სულიკო ქავთარაძე, მირიან ჯიქია, ლაშა ლონდაძე, კობა ალავერდიაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ვასიკო საბაშვილი, გივი ტარვაშვილი, დავით კორბაია, გიორგი კუჭუჭი-შვილი, ლაშა ზაღუნელი; მწვრთნელი თამაზ სამხარაძე და სპორტსკოლის დირექტორი გიორგი ულესიანი.

დიდობის მასივის საცურაო კომპლექსი ფეხბურთის კარგად ასოციაციონის მოვლენების შემდეგ ეს ბაზა გააპარტახდა და დიდი ხანი არ არის, რაც „მკვლევართი აღსდგა“ თბილისის მერიის დახმარებით, რომლის ბალანსზედაც დღეს იგი ირიცხება. მას შემდეგ, რაც კომპლექსის სათავეში ჩაუდგა ენერჯიული ორგანიზატორი გიორგი ულესიანი,

აქ ცურვის გარდა, სპორტის სხვა სახეობებშიც ვარჯიშობენ მოზარდები. ნორჩმა ფეხბურთელებმა კი ისტორიის ათვლა ამ დღეებში ესპანეთის ქალაქ კალიაში (ბარსელონის პროვინცია) მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყეს. ამ ქალაქში ჩატარდა ქაბუცე ფეხბურთელთა რიგით 21-ე საერთაშორისო ტურნირი „კაბალონის თასი.

თბილისიდან მიწვეული იყო ორი გუნდი (1988-89 და 1990-91 წწ. დაბადებული). ლედაქალაქის სპორტული ღირსების დაცვა ზემოხსენებული სპორტული კომპლექსის ქაბუცე ფეხბურთელებს ანდეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი უმცროსებმა, 11-12 წლის ქაბუცეებმა, რომლებმაც იტალიელებს მოუგეს ან-

გარიშით 6-0 და ესპანელებს 5-0. გადამწყვეტ მატჩში ხორვატ თანატოლებთანაც ჩვენები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. მაგრამ გოლი არადა არ გავიდა მერტოქის კარი. გამარჯვებული გამოსავლენად დაინიშნა კენჭისყრა. ბედმა აქაც ჩვენებს გაუღიმა. სპორტსკოლის დირექტორმა გიორგი ულესიანმა თასიდან ამოიღო ფურც-

ლი, რომელსაც ეწერა — „საქართველო ს.კ. დიდუბე“ და კაბალონის თასი თბილისელთა ნადავლი გახდა. დაკენთ, რომ ტურნირში ევროპის შვიდი ქვეყნის ნორჩ ფეხბურთელთა რჩეული გუნდები მონაწილეობდნენ. **ლია იმედაშვილი, მანანა ელვაძიძე**

გერიანს სათავეს აძლევს კერაი

1952 წლის საფეხბურთო სეზონში მიუხედავად დიდი მოუტელეობისა, მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მისული ლაგერენტი ბერია დიდად გაოცდებულა, რაკი მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში ვერ უხილავს ლეგენდარული მეკარე, „ფეხვად“ წოდებული ალექსეი ხომიჩი და თვედამსხმელი სერგეი სოლოვიოვი. როცა აღიუტანტიისთვის უკითხავს მათი არყოფნის მიზეზი — მოუხსენებიათ, რომ ორივე ფეხბურთელი გუნდიდან დაუთხოვია ახალ უფროს მწვრთნელს — წარსულში ამავე გუნდის კაპიტანს და დაცვის ბურჯს მიხილ სემიჩასტნის. ბერიანს მეორე დღესვე ახალი მწვრთნელი თავისთან დაუბარებია და მათი დათხოვნის მიზეზი რომ უკითხავს, ისეთი პასუხი მიუღია, „სასაილოვად კი გამოიყურებოდა: თურმე ხომიჩს მტომელობა და უკარგავს, ხოლო სერგეი სოლოვიოვს — შედეგინაობა. ბერიანს იგი მაგრადაც გაუგორავს. ხომიჩი ყურადღებიდან „გამორჩენია“, სერგეი სოლოვიოვის მისამართით კი, რომელიც მისი სათავეს აძლევს კერაი ფაფილა, უთქვამს — „გაკეთე რაც გინდა — ოლონდ სერგეი სოლოვიოვმა ახალ სამუშაო ადგილზე არანაკლები ხელფასი მიიღოს, ვიდრე მოსკოვის „დინამოში“ ჰქონდა. ხომიჩს, ლაგერენტი ბერიანს, ასე ვთქვათ, „უფურადღებობით“ უსარგებლია და მინსკის „სპარტაკში“ გადაბარებულა, რომელიც სულ მალე 1954 წლის საფეხბურთო სეზონში „სტაჟინი“ აუტსაიდერიდან ბრინჯაოს მედლების პრიზიორი გახდა, ამასთან, მან სენსაციაც მოახდინა, თავის მოედანზე 1-0 დაამარცხა მოსკოვის „დინამო“. იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. საყურადღებოა, რომ ხომიჩმა საფეხბურთო კარიერა 1955 წელს 35 წლისამ დაასრულა. ახლა სინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს ლაგერენტი ბერიანს სათავეს აძლევს კერაის სერგეი სოლოვიოვს 1973 წელს ლევ ფილატოვის რედაქციით მოსკოვში გამოცემული კრებული — „დინამო“ მოსკოვი.

შესაკავებლად, სერგეი სოლოვიოვი ერთიანი წარმატებით გამოიღოდა როგორც ცენტრფორვარდის, ისე მარცხენა გარემარბის ამპლუაში. მას ეკუთვნოდა კლუბ მოსკოვის „დინამოს“ ყველა რეკორდი შედეგინაობაში. 1940 და 1948 წლებში გახლდათ საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. ამას გარდა, 1948 წლის ჩემპიონატში მან სამ წუთში სამი გოლი გაუტანა მოსკოვის „ტორპედოს“, რაც არავის გაუმეორებია შემდგომში. ზემოაღნიშნული მატჩი მოსკოვის „დინამომ“ მოიგო ასტრახანში 7-0. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში სერგეი სოლოვიოვმა გაიტანა 137 გოლი. სერგეი სოლოვიოვი 1917 წელს დაიბადა ლენინგრადში, სპორტის და მსახურებელი ოსტატი იყო 1945 წლიდან. ფეხბურთის თამაში დაიწყო ლენინგრადში. 1937-38 წლებში გამოიღოდა ლენინგრადის სამხედრო ოლქის გუნდში, 1939 წელს ლენინგრადის „დინამოში“, ხოლო 1940-1951 წლებში მოსკოვის „დინამოში“. სსრკავშირის 1940, 1945 და 1949 წლების ჩემპიონი, არაერთგზის თასის მფლობელი. 1950 წლის სეზონის შედეგებით იგი დასახლებული იყო როგორც საუკეთესო მარცხენა გარემარბი. სერგეი სოლოვიოვი 1967 წელს გარდაიცვალა. **დემურ ტორაძე**

საზღვარგარეთის ფეხბურთის აგზაუბი

როი პოქსონი იმარჯვებს და... მიღის

დანიის ჩემპიონატში 12 კლუბი თამაშობს... სამ წრედ. ასეთ სისტემას ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ იყენებენ. რომელიმე გამოკვეთილი ფავორიტი ამ ლიგას არასოდეს ჰყავდა. ზოგჯერ ჩემპიონატის ბედს წყვეტდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან დაბრუნებული ვეტერანი ვარსკვლავები, ზოგჯერ კი რაღაცა მანქანებით დანიაში მოკლენით მყოფი უცხოელი მწვრთნელები. ახლანდელ დამთავრებულ პირველობაზეც სწორედ ეს ითქმის. რომ განთქმული ინგლისელი მწვრთნელი როი პოქსონი არა, „ფკ კოპენჰაგენი“ პირველ ადგილზე ნამდვილად ვერ გავიდოდა. რამდენიმე სიტყვა სწორედ პოქსონზე: იგი (დაიბ. 1957 წ. 9 აგვისტოს) მაინცდამაინც ცნობილი მოთამაშე არა ყოფილა, მწვრთნელად მუშაობა კი უკვე 29 წლისამ დაიწყო, გაემგზავრა შვედეთში, სადაც „ჰალმსტადს“ პირველივე წელს ჩემპიონობა მოუტანა. 1979 წელს ამ კლუბმა უკვე მეორედ დაიკავა პირველი ადგილი, რამაც ახალგაზრდა მწვრთნელს, ცხადა, სახელი გაუთქვა. მცირე ხნით საშობლოში დაბრუნების შემდეგ, როცა „ბრისტოლ სიტის“ მეორე მწვრთნელად მუშაობდა. პოქსონმა ისევ შვედეთში მუშაობა არჩია, სადაც უკვე „მალმომ“ გახდა ჩემპიონად. ამის შემდეგ ინგლისელი მწვრთნელიდან შვეიცარიაში გადაბარგდა, ქ. ნეშატელის მანამდე უმნიშვნელო კლუბი „სამა-

ქსი“ ისე მოამძლეა, რომ გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობაზე განაცხადა პრეტენზია. ამან ინგლისელს უკვე შეეცარის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სავარძლისაკენ გაუხსნა გზა. აი აქ კი პოქსონმა ნამდვილ ტრიუმფს მიაღწია. მას შემდეგ, რაც შვეიცარიის ნაკრები მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში არა ყოფილა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ინგლისელი მწვრთნელის ბრწყინვალე მუშაობის შედეგად ეს უფლება მოიპოვა. ეს 1994 წელს მოხდა. ამას ახალი დიდი წარმატება მოჰყვა — 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობა. ამდენ წარმატებას ბევრი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნიდა. რა თქმა უნდა არც ერთი, თუნდაც დიდი სპეციალისტის „ცა უდრუბლო არა ყოფილა“. პოქსონი მილანის „ინტერში“ მიიწვიეს, რაც თავისთავად მის დიდ აღიარებას ნიშნავდა. იქ სულ ერთი წელი დაჰყო: ინტერის ჩემპიონატში გუნდმა „მხოლოდ“ მესამე ადგილი დაიკავა და უფასო თასის ფინალში გავიდა. ეს „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის უმნიშვნელო შედეგად მოეჩვენა და პოქსონს გამოეთხოვა. ინგლისელი კიდევ ერთხელ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც „დელითარსა“ და „ბლექბერნ როვერსში“ კახი განიცადა. ვერც შვეიცარიაში კიდევ ერთხელ ჩასვლამ და ციურიხის „გრასჰოპერსში“ მუშაობამ მოიტანა კარგი შედეგი.

დანიის ჩემპიონატის აგზაუბი მათნის ჩემპიონმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაფერი თავიდან დაიწყო და ისევ სკანდინავიის მიმართა, სადაც არასოდეს განუცდია მარცხი. დიხ, 2000 წლის ზაფხულიდან მან „ფკ კოპენჰაგენში“ დაიწყო მუშაობა და პირველივე სეზონი სრული ტრიუმფით დაამთავრა. მართალია, ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ისევ უფრო მაღალ დონეზე ეცადა ბედი და ახალი სეზონიდან, როგორც ამბობენ, „უდიუნეს“ ჩაუდგება სათავეში. აქამდე „ფკ კოპენჰაგენი“ სულ ერთხელ, 1993 წელს იყო დანიის ჩემპიონი. ამჯერად იგი თავიდანვე პირველი ადგილისათვის იბრძოდა, მხოლოდ ერთი სერიოზული მეტოქე ჰყავდა: კოპენჰაგენის ცნობილი კლუბი „ბრონდბო“. მაშინ, როდესაც ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ ორი ტური რჩებოდა, ამ დღეებში 40 ათასი მაყურებლის დასწრებით როი პოქსონის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3-1 და პირველი ადგილი მოიპოვა. 33 მატჩიდან „ფკ კოპენჰაგენმა“ მოიგო 17, ფრედ დაასრულა 12 და 4 წააგო, ბურთების სხვაობაა 55-27 ამ 63 ქულით „ფკ კოპენჰაგენმა“ დამაჯერებლად ჩამოიშორა „ბრონდბო“ (58 ქულა). ერთი კია, ცოტა არ იყოს უცნაური: ჩემპიონების წარმომადგენლები არ შედიან სწავლების პირველ შედეგულში. აქ პირველია 21 კულით „ბრონდბო“, თვედამსხმელი პეტერ გროულენდი, 20 კულით მეორეა პენრიკ პედერსენი „სილკებორგიდან“ მხოლოდ მეორე ტოლი იონსონი (12 კული) და მეცხრე — ჰაიკე ფერნანდესი (11 კული). ჩემპიონი „ფკ კოპენჰაგენი“ ახლა ჩემპიონთა ლიგაში უცდის ქუთაისის „ტორპედოს“ და ბელფასტის „ლინფილდს“ შორის გამარჯვებულს. რაც შეეხება უფასო თასს, აქ დანიიდან ითამაშებენ „ბრონდბო“ — ვერცხლის პრიზიორი, აგრეთვე „სილკე ბორგი“ (მესამე ადგილი) 56 ქულით და „მიდტიულანი“ (მეოთხე ადგილი) 53 ქულით.

უსიამოვნო ისტორია, როგორც ანდრეი ტიხონოვის პრესის მიხედვით

მას შემდეგ, რაც მოსკოვის „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ანდრეი ტიხონოვი „კრილია სოვეტოვში“ გადავიდა, იგი სამარელო გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ... ერთ-ერთი მატჩის მოგების შემდეგ ტიხონოვი და მისი ცოლი სამარის ლამის კლუბში წავიდნენ. უკან დაბრუნებისას „კრილია სოვეტოვში“ კუთვნილი მანქანა ტიხონოვის ცოლს მიჰყვდა. ის-ის იყო გასცილდნენ ლამის კლუბს, მანქანა საგზაო ინსპექციის თანამშრომლებმა გააჩერეს — ფეხბურთელი და მისი ცოლი გვარაიანად მთვრალეები იყვნენ. ტიხონოვი აღშოთა, რომ გააჩერეს, მაგრამ შემდეგ დათანხმდა მილიციელებს ნარკოლოგიურ დისპანსერში წაყოლადა. აქ იგი, თანამშრომლების სიტყვით, „აღმაშფოთებლად იქცეოდა“. მას შემდეგ, რაც ძლიერი დათრობა დაუდასტურეს, მეუღლეებს მანქანა დაატოვებინეს და ისე გაისტუმრეს სახლში. ერთი კვირის შემდეგ ნალექა ტიხონოვამ 1000 რუბლი გადაიხადა, მანქანის მძღოლის მოწმობა დაუბრუნეს, მაგრამ ინციდენტმა სამარის „კრილია სოვეტოვს“ ქომაგებზე (გუნდი კი რუსეთის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა) მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ახლა იძულებული გახდა ეძებოს გუნდისათვის მეკარე. საქმე ის არის, რომ „პალმეირასის“ გოლიკემპერ მარკოსთან ერთად იგი ამირებდა მიეწვია „მილანის“ საკუთრება დიდაც... აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან დიდაც (კონფედერაციის თაზზე თამაშობდა), დისკვალიფიცირებულია ერთი წლით: იგი, ისევე, როგორც ბევრი სხვაც, გაერია ცნობილ საპასპორტო სკანდალში.

სკოლარის ერთი დანაკარგი

